

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე

ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბაროს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი არჩევითი საგნები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია

ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის გამოცდაში აბიტურიენტმა უნდა აარჩიოს ინგლისური ენა

პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის, სტუდენტმა უნდა გადალახოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის გამოცდის კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 75%

მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულმა პირმა, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა უნივერსიტეტის მიერ უცხო ენის კომპეტენციის დონის დადგენის

წესის შესაბამისად, ან დაადასტუროს შესაბამისი დონის ენობრივი კომპეტენცია საერთაშორისო სერტიფიკატით:

B2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა:

- Cambridge English First (FCE),
- BEC Vantage, IELTS 5-6.5
- TOEFL iBT 87-109
- Michigan ECCE
- PTE General Level 3
- PTE Academic 59-75
- Trinity ISE II

ენობრივი კომპეტენციის დონის გამოცდით დადასტურებიდან, შესაძლებელია განთავისუფლდნენ ის პირები, რომლებმაც წინა განათლება (სრული ზოგადი განათლება, სამედიცინო პროფესიული განათლება ან უმაღლესი განათლება) მიიღეს ინგლისურ ენაზე, აკადემიური მოსწრების დოკუმენტით ინგლისური ენის სათანადო ფლობის დონის (არანაკლებ ენობრივი კომუნიკაციის ევროპული ჩარჩოს B2 დონის ადექვატური) დადასტურების შემხვევაში.